ღალატისა და მორალის კონცეფცია ვაჟა-ფშაველას პოემა „სისხლის ძიების“ მაგალითზე

ნანა კუპრაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
e-mail: nanakupradze053@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.21

ვაჟა-ფშაველას პოემა ,,სისხლის ძიება” დაიბეჭდა 1897 წელს გაზეთ ,,კვალში”(#2). ნაწარმოების სიუჟეტი ვითარდება ჩერქეზეთში, თუმცა ამ შემთხვევაში ტოპონიმი, ეთნოსი და რელიგიური წარმომავლობა პირობითია. უფრო მნიშვნელოვანია მთა თავისი ადათ-წესებითა და ტრადიციებით. ასევე პიროვნება, რომელიც თავისი მისწრაფებებითა და პრინციპებით განსხვავდება სხვათაგან. როგორც მიუთითებენ ,,XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, მაღალი სულიერი ინტერესებით მცხოვრები კაცობრიობის ყურადღება დაიპყრო ინდივიდუალიზმის ნაირ-ნაირმა თეორიებმა“([ევგენიძე, 1989, გვ. 385], ასე რომ გამორჩეულ პიროვნებათა ხასიათის ჩვენება მეტად აქტუალური გახდა.

პოემაში ვკითხულობთ, რომ ჩერქეზთა მთავარ ,,გულამღვრეულ” ასლან ბეგს ხელში ჩაუგდია დიდკაცობა და საკუთარი ხალხის ჩაგვრით თავს აწონებს რუსულ მმართველობას (,,იტყვიან, ვითომ ასლანმა, გასცა სამშობლო თავისა“). ერთადერთია ქიჩირი, ვინც ასლანს თავს არ უხრის და სხვებსაც დაუმორჩილებლობისაკენ მოუწოდებს.

„რად ჰმონებთ ასლანს, ჩერქეზნო,
უღელს რად იდგამთ კისრადა,
სხვისა ნაყმევი, ნალახი
გამოადგებავის რადა?!
უბატონობა რით არ სჯობს,
ნეტავ, ბატონის ყოლასა?“ (ვაჟა-ფშაველა, 2011)

ასლანმა ქიჩირის მოკვლა დემურს დაავალა, რომელმაც შეცდომით ქიჩირის სტუმარი მოკლა, მისი მოჭრილი მარჯვენა კი ასლანისთვის მისართმევად წამოიღო. დემურის ცოლმა ქმრის მოტანილ მოკვეთილ მკლავში საკუთარი ძმის მარჯვენა ამოიცნო. ქიჩირი პირისპირ ხვდება დემურს და შურს იძიებს, მის მოკვეთილ თავს კი ასლან ბეგს გაუგზავნის. ასლანი მაჰმადას დახმარებით ქიჩირს სახლში მიიტყუებს, თითქოს მასთან შერიგების მოსურნეა და ღალატით კლავს. სიკვდილის წინ ქიჩირი ცეცხლში აგდებს ასლანის შვილებს. მათთან ერთად თავს იკლავს დემურის ცოლი და ქიჩირის დედაც. პოემის ყველა უცოდველი და ღირსეული პერსონაჟი იღუპება და რჩება მხოლოდ უღირსი და გამყიდველი საზოგადოება, რომელიც მტერთან შეთანხმებით მოქმედებს.

ვაჟა-ფშაველას მსოფლმხედველობრივი აზროვნების გათვალისწინებით, ადამიანი ბუნების ყველაზე ცოდვილი ნაწილია (შ.დ.რ. ,,ბახტრიონიდან“, ,,ნუმც გაჯავრდება პირიმზე, ნუმც დამწყევლიან იანი, რომ იმათ დედის ძუძუთი, ვსუქდები ცოდვილიანი“). სწორედ მისი თვისებაა სისხლისღვრა და შურისძიება.

,,(მთებო) გიამბეთ ჩვენი სიგლახე, თქვენ კი არ დაიჯერეთა!
სიმტკიცე ცოტა ჩვენთვისაც რატომ არ მოიწველეთა?!“ (ვაჟა-ფშაველა, 2011)

ამიტომ იდეალური ჰუმანური ღირებულებები, სწორედ მათგან უნდა შეიმეცნოს კაცმა. სწორედ ამიტომაა, რომ პოემაში ბუნების ჰარმონიულ სურათს ცვლის ადამიანთა სისატიკის ამსახველი ეპიზოდი, რათა კონტრასტი უფრო თვალსაჩინოდ წარმოჩნდეს.

დემურს მტრის მოკვეთილი მარჯვენა მოაქვს შინ. მართალია, ,,მარჯვენა ხელი აღჭურვილია საკრალური, შემოქმედებითი ფუნქციით“ [ცანავა, 2011, გვ. 127], თუმცა დემურისთვის მას მხოლოდ მერკანტილური ღირებულება აქვს.

,,უნდა საჩუქრად მიიღოს
ხმალი, ფული და ცხენია.
რაცა ჰქმნა – სასახელოა,
ოდნავაც არა რცხვენია.“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

ღალატი სამჯერ ჩანს პოემაში, როცა ასლანზე ვიგებთ, რომ თავის ხალხს ღალატობს, რადგან რუსებთან კრავს პირს და მეორედ, როცა დემური ღამით ესხმის ქიჩირს თავს და მესამედ, როცა ასლანი ქიჩირს მოღალატე მაჰმადას უგზავნის, რომელიც უღირსად, არარაინდულად, ურცხვად ატყუებს ქიჩირს, თითქოს ასლანს მასთან შერიგება სურს.

საინტერესოა, რა არგუმენტებით ცდილობას იგი ქიჩირის დათანხმებას. თავიდან ქებით გულს ულბობს, ვაჟკაცობას უქებს, ბოლოს კი სათქმელსაც მიადგება, ქიჩირის უბედურების მიზეზად: ადამიანთაგან განაპირებას, მუდამ ფათერაკის მოლოდინში ყოფნას, ეჭვსა და უნდობლობას თვლის. გარდა ამისა, მისი სიტყვით, მტრობა მათ ეროვნულ მისწრაფებებსაც აკნინებს.

მოქნილმა მაჰმადამ სწორად გათვალა. ისეთ საკითხებზე, მდგომარეობასა და დამოკიდებულებებზე გააკეთა აპელირება, რომლითაც ქიჩირის სულს შეეხო და ააფორიაქა. მართალია ქიჩირი ამის შემდეგ თავისუფლების ფასზე საუბრობს და მის აუწონავ ღირებულებას აქებს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ამის შემდეგ დათანხმდა ასლანთან შერიგებას.

,,მე კი ჩვენს ჩერქეზთ რჯულზედა
სახლში მიუვალ ძმურადა!
თუ არ დაირცხვნის თითონა,
დაე, მომექცეს მტრულადა.“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

საინტერესოა ქიჩირის სულგრძელობა, მისი პასუხი, როცა მაჰმადა ურცხვად იფიცება, თითქოს ასლანს ქიჩირის შეპყრობა და მოკვლა გუნებაში არ აქვს. ქიჩირს სჯერა, რომ ასლანი საუფლო წესს არ დაარღვევს და არც ნდობას უმტყუნებს. გარდა ამისა, ქიჩირს ასლანის საქმეები სძულს და არა თავად ასლანი. ის გულწრფელად პასუხობს მაჰმადას:

,,ბევრს რად ჰფიცულობ, მის ნახვა
განა ეგრეცა მზარავსა?...“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

გონიერი ქიჩირი ქვეცნობიერად გრძნობს მოგზავნილის პირფერობას და ამხელს:

,,– მშვიდობით, წადი!.. კარგს ამბობ,
ცოტას რომ არა ჰფლიდობდე.“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

თუმცა თავის გადაწყვეტილებას მაინც არ ცვლის, რადგან გრძნობს, რომ თანამოძმეებსა და ქვეყანას მისი გამოცდილება და ძალა სჭირდებათ:

,,ბოლოს იფიქრა – წავიდეს,
თუ კი ქვეყანას არგებდა.
თვალთ წინ დაუდგნენ მოძმენი,
ომი ფიცხელი მტერთანა,
აოხრებული ქვეყანა,
გასწორებული მტვერთანა.“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

ქიჩირს დედა აფრთხილებს ასლანის ღალატზე. მაგრამ ქიჩირის პატრიოტიზმის და რაინდული სული დედის გაფრთხილებაზე აღმატებული აღმოჩნდება.

,,ეს რომ არ მოდის ჭკვაშია?!
სიკვდილი ბევრად სჯობია

ჩავარდნას ქვეყნის ყბაშია.
რა სიცოცხლეა, რომა თქვან
ჩემი ლაჩრობა მთაშია!
დიაცებრ მანდილიანი,
დედავ, გინდივარ რაშია?“ (ვაჟა-ფშაველა, 2011)

ქიჩირის ზნეობრივ სიმაღლეს, მის ადამიანურ სიღრმეს ასლანი ვერ ხედავს და არც აინტერესებს, ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათი მორალური პრინციპები თავიდავე გამიჯნულია. არც იმის მოერიდება, რომ ვერაგულად შემოტყუებულ ქიჩირს კოცონზე დაწვის განაჩენს გამოუტანს. ქიჩირმა სიკვდილის წინ ფანდური მოითხოვა და სიმღერა წამოიწყო, რომელშიც გააშიშვლა ადამიანთა ვერაგობა და სულმოკლეობა. უფრო კონკრეტულად, მის სიმღერაში გამოიკვეთა რამდენიმე სათქმელი:

1. წუთისოფლის ვერაგობა და უკუღმართობა (,,ფლიდია ესე სოფელი, ფლიდთა საყრელი ხელისა; კარგებსა სჩაგრავს, უმსგავსთ კი კალთას აფარებს, ჰშველისა; მართალი წუთისოფელში შველას ამაოდ ელისა!“)
2. ასლანის ღალატი და პერსპექტივაში მისი შედეგი (,,მალე დაჰღუპავს ქვეყანას / ლაჩართა გადაკიდება“.)
3. საზოგადოების პასიურობა მოღალატის მიმართ (,,მიკვირს, რომ ასეთ უმსგავსთა/ ქვეყანა რადა ჰყურებსა?!“)
4. ადამიანის პასუხისმგებლობა ქვეყნის მიმართ (,,თავის გაწირვა ადვილად ვაჟკაცთა სულის ღონეა.“)

ქიჩირი ბოლომდე გაუტეხელია. როდესაც ასლანი მოატყუებს, სთხოვს, რომ არავის უთხრას. ცხადია, ამას არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით აკეთებს, რომ ადამიანთა შორის ნდობა არ გაქრეს. თორემ ქიჩირი, ასლანისავე გულისწყრომით ნათქვამი სიტყვებით:

,,მარტო ღვთის ბატონად მცნობი,
სხვა ყველას წინ მდგომელია!“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

პოემაში ღალატი და მორალი ხშირად იკვეთება ასლანისა და ქიჩირის, ქიჩირისა და დემურის, ქიჩირისა და მაჰმადას, ასევე, დემურისა და მისი ცოლის ურთიერთობისას.

როდესაც დემური მოკვეთილ მკლავს შინ მოიტანს, ცოლი უსაყვედურებს, რადგან იცის თავისი ქმრის სილაჩრე და უღირსობა, ისიც, რომ მას ქიჩირთან პირადი მტრობა არ აკავშირებს და ანგარების გამო ჩაიდინა დანაშაული, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებს მას ქმართან და მის საქმეებთან.

,,ვაჟკაცსვე ჰშვენის ეჭიროს
ხელი მოკლულის მტერისა.“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

მას შემდეგ კი, როცა დარწმუნდება, რომ ქმარმა შეცდომით ქიჩირის მაგივრად მისი ძმა მოკლა, ზიზღი გაუათმაგდება. დემურის ცოლი თავის სიძულვილს არ მალავს მაშინაც, როცა დარლა (იგივე ქიჩირი) თავის შენიღბვის მიზნით, ცდილობს დემურის შექებას. ქალი არ აქცევს მის სიტყვებს ყურადღებას, რადგან დემურზე თავისი აზრი აქვს, რომელსაც არ მალავს:

,, – მოტყუებულა? შეჭამოს
თითონ ის ტყვიამ მწარემა,
ჩააცვას წყევის სუდარა
მთელმა ჩერქეზთა მხარემა.
ცოლის ძმის მოკვლის ნაცვლადა
თავი მოეკლა ბარემა?
ქიჩირის ხელის მაგივრად
მოაქვს ცოლი-ძმის მარჯვენა,

ვითომ მე ვიყავ ასლანი,
მომიტანა და მაჩვენა.“ (ვაჟა-ფშაველა, 2011)

დემურის ბოროტება უკიდეგანოა, როცა ჰყვება მკვლელობას. ის ღამით, ქურდულად ესხმის ქიჩირის ოჯახს თავს; ყელს გამოჭრის მსხვერპლს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დემურის ცოლის ძმა, ალხასტა, აღმოჩნდება. მოხუცის ,,ჩხავილს“, როგორც თვითონ ამბობს, არაფრად აგდებს მაშინაც, როცა მოგვიანებით მეზობელს უამბობს თავის ნამოქმედარს.

ქიჩირი კი დემურს მკლავის მაგივრად თავს კვეთს.
,,შენებრ არ მოვალ ფარულად,
მელა არა ვარ, არც ტურა,
ქათმებს ვეპარო მალულად“ (ვაჟა-ფშაველა, 2011)

კაცობრიობის უძველესი ცივილიზაციების უნივერსალური წარმოდგენის გათვალისწინებით, ადამიანის სხეული, იგივე მიკროკოსმოსი, თოთხმეტ ნაწილად იყოფა, რომელთაგან თითოეულს საკრალური ღირებულება აქვს. ამ თოთხმეტი ნაწილიდან განსაკუთრებული დატვირთვა აქვს თავსა და ხელებს, რადგან პირველი დირექტივებს გასცემს, მეორე კი აღასრულებს (ონიანსი, 1999) ვაჟა-ფშაველას პოემაში ქიჩირი დემურს მკლავის მაგივრად, თავს კვეთს და ასლანს უგზავნის, რითაც განმკარგულებლის ფუნქციას შავეთშიც უსპობს, ორივე სოფელში ამარცხებს.

პოემის ფინალურ ნაწილში საყურადღებოა ერთი ეპიზოდი, რომელიც მითოლოგიურ სიბრტყეზე უნდა დავინახოთ. ნაწარმოებში ვკითხულობთ:

,,აქ, ამ ადგილას, იტყვიან
ამბავს, საკვირველს რამესა:
ვითომ აქ სისხლის ზღვა მდგარა,
ის შაესუსტოს მთვარესა.
ზღვა დაეყენა ბრძოლასა
ჩერქეზთ რუსებთან მწარესა.
მას აქეთ მუდამ ყვავილნი
ამკობენ ამა მხარესა.
ყვავილნი სანთლად ნათობენ,
გმირთ სულებს გაახარებსა,
მოხუცნი მოწიწებითა
დასთვლიან გმირთა გვარებსა,
ყრმანი უსმენენ გულს ჟრჟოლითა,
თან ჰბღუჯვენ ხანჯრის ტარებსა.“(ვაჟა-ფშაველა, 2011)

მთვარის მიერ სისხლის შთანთქმის მითი ხშირად გვხვდება ჩრდილოკავკასიურ, მათ შორის ჩერქეზულ (ადიღეურ) ტრადიციაში, ნართების საგებში. როცა გმირი იღუპება, მისი სისხლი მიწაზე არ რჩება, რადგან ის კოსმიურ ძალად იქცევა. ასეთ გმირს(გმირებს) არასოდეს ივიწყებენ.

პოემაში მკვეთრად ჩანს, რომ რუსეთმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ვაჟა-ფშაველა რუსეთის სახთ ხატავს ტოტალურ ბოროტებას, რომელაც ბიძგი მისცა ადამიანთა უზნეობის, უნებისყოფობისა და სისუსტის ისეთი მავნე თვისების განვითარებას, როგორიცაა ღალატი. ამ პასაჟით პოეტი გამოთქვამს იმედს, რომ ბოროტების ფესვი აუცილებლად ამოიძირკვება.

ვაჟა-ფშაველას პოემის მორალისა და ღალატის კონცეფცია საკმაოდ რთულია და პოეტის სხვა ნაწარმოებების მსგავსად, ეყრდნობა ისეთ მორალურ-ზნეობრივ კატეგორიებს, როგორებიცაა: შეუბრალებლობა და თანაგრძნობა, შუღლი და ერთობა, ჰუმანურობა და მიზანთროპობა, სისასტიკე და ლმობიერება.

რა თქმა უნდა, თავად ავტორის პოზიცია ქიჩირის მხარესაა. პოეტი გვიჩვენებს საზოგადოების გადარჩენისათვის გამიზნულ ულმობლობამდე მკაცრი მორალის ეფექტიანობას, რადგან მტერზე გამარჯვებისთვის მისი წილი განუსაზღვრელია.

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-შაველა, პოემა „სისხლის ძიება

ლიტერატურა:

ევგენიძე. ი.(1989). ვაჟა-ფშაველა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

ონიანსი. რ. (1999) Онианс Р. На коленях боговю Перевод с английскогоюю ,,Прогресс-Традиция". Москва.

ცანავა. რ. (2011): არქაული რიტუალის ასახვა ვაჟა-ფშაველას პოემებში. ,,ვაჟა-ფშაველას საიუბილეო კრებული" . რედ. რატიანი ირმა. შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი.

სასარგებლო ბმულები:

ვაჟა-ფშაველა, სისხლის ძიება, 2011 https://tagiweb.wordpress.com/2011/12/15/siskhlis-dzieba/ 12.08.2025

Nana Kupradze
University of Georgia
Tbilisi, Georgia
e-mail: nanakupradze053@gmail.com
https://doi.org/10.52340/lac.2026.11.21

The concept of betrayal and morality on the example of Vazha-Pshavela's "Search for Blood"

Abstrac

Moral and ethical issues are one of the key issues in Vazha-Pshavela's work. The presentation of the moral ideal of man is particularly delicate and responsible for the writer, because it is precisely such outstanding heroes who try to improve public thinking and establish ethical values. The function of literature is also to form a moral ideal and arouse the reader's desire to achieve it.

In the communities of Pshav-Khevsureti, the norms of human relations, the protection of goodness and justice, and love for the country and neighbor were treated with particular rigor. In a word, the mountain was unbreakable in its way of life.

Customs nourished by pagan religious beliefs sometimes forced members of the community to perform without a word: the tradition of bloodletting, cutting off an arm, and killing a foreign "slave of the image," which was considered a religious norm in this society. Obviously, this violated the dignity of distinguished individuals, since the existing rules required ignoring the laws of human behavior and consciousness.

The moral and ethical spectrum of Vazha-Pshavela's epic works is very wide. In this case, we are limited to only the poem "The Search for Blood," in which, in addition to moral values, the anatomy of betrayal is also visible. The writer showed us these two deep psychological layers of a person on one plane. It is also worth considering that Vazha-Pshavela deeply penetrates the ethnopsychology of the Georgian nation and revives the fundamental moral principles of national consciousness in artistic language.

The dramatic plot of the poem, the confrontation between dignity and dishonor, reveals the characters' personalities, their personal values, and weaknesses. In the poem, a very difficult internal struggle takes place before our eyes. The egocentric aspirations of individual individuals clash with the interests of freedom-loving people. The struggle is uncompromising and relentless. This contradiction, however, reveals a healthy point of view.

Keywords: Vazha-Pshavela, Poem "Search for blood"